აღიცხვა და აუდიტისა და ფინანსების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველ პირთათვის მისაღები (შიდა)გამოცდების შეფასების კრიტერიუმები და ზღვრები

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აღრიცხვა და აუდიტის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები :

საგამოცდო ბილეთი შედგება 3 საკითხისაგან. თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა, გამოცდის საერთო მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა. მინიმალური ზღვარი 16 ქულა. გამოცდის ხანგრძლივობა - 2 სთ.

თითოეული საგამოცდო საკითხის შეფასება ხდება შემდეგი წესით:

კრიტერიუმი	ქულა
საკითხის შინაარსი სრულყოფილად, ღრმად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თეორიული მსჯელობა გამყარებულია პრაქტიკული მაგალითებით, შეცდომები საერთოდ არ არის დაშვებული, ან დაშვებულია მხოლოდ მართლწერის შეცდომები, რომლებიც ვერავითარ გავლენას ვერ ახდენენ ნაშრომის შინაარსზე.	10 ქულა
საკითხის შინაარსი სრულყოფილად, ღრმად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თეორიული მსჯელობა გამყარებულია პრაქტიკული მაგალითებით, დაშვებული შეცდომები უმნიშვნელოა და არსებით გავლენას ვერ ახდენენ ნაშრომის შინაარსის გამართულობაზე.	9 ქულა
საკითხის შინაარსი მეტ-ნაკლებად სრულყოფილად და თანმიმდევრულად არის გადმოცემული, თეორიული მსჯელობა უმეტეს შემთხვევებში გამყარებულია პრაქტიკული მაგალითებით, ცალკეულ შემთხვევებში დაშვებული შეცდომების მიუხედავად ნაშრომის შინაარსის გაგება თავისუფლად არის შესაძლებელი.	8 ქულა
საკითხის შინაარსი მეტ-ნაკლებად არის გადმოცემული, თეორიული მსჯელობა ცალკეულ შემთხვევებში გამყარებულია პრაქტიკული მაგალითებით, რომელთა ნაწილი არაზუსტია, თეორიული მსჯელობისას ზოგიერთ შემთხვევებში დაშვებულია არსებითი შეცდომები, თუმცა, მიუხედავად ამისა, ნაშრომის შინაარსის გაგება მაინც არის შესაძლებელი.	7 ქულა
გადმოცემულია საკითხის მხოლოდ ძირითადი არსი, ცალკეულ შემთხვევებში ასევე მოყვანილია პრაქტიკული მაგალითებიც, თუმცა უმეტესწილად ისინი არ არის ლოგიკურად მიბმული თეორიულ მსჯელობასთან. აზრის გადმოცემისას დაშვებული უზუსტობები	6 ქულა

იმდენად არსებითია, რომ ხშირად საკითხის შინაარსის გაგება გართულებულია.	
გადმოცემულია საკითხის მხოლოდ რამდენიმე ძირითადი ასპექტი, მოყვანილი პრაქტიკული მაგალითი არასწორია, ან არ არის ლოგიკურად მიბმული თეორიულ მსჯელობასთან. აზრის გადმოცემისას დაშვებული უზუსტობები იმდენად არსებითია, რომ საკითხის შინაარსის გაგება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია შესაძლებელი.	5 ქულა
გადმოცემულია საკითხის მხოლოდ რამდენიმე ასპექტი. არ არის მოყვანილი პრაქტიკული მაგალითები. აზრის გადმოცემისას დაშვებული უზუსტობები იმდენად არსებითია, რომ საკითხის შინაარსის გაგება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში და მხოლოდ ბუნდოვნად არის შესაძლებელი.	4 ქულა
გადმოცემულია საკითხის მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ასპექტი, რაც არ იძლევა საშუალებას გაგებული იქნას საკითხის არსი. არ არის მოყვანილი პრაქტიკული მაგალითები.	3 ქულა
საკითხის შინაარსი გადმოცემულია მხოლოდ რამდენიმე ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელი წინადადებით, რომელთა უმეტესობა არაზუსტია და არანაირ წარმოდგენას არ იძლევა საკითხის არსის შესახებ. არ არის მოყვანილი პრაქტიკული მაგალითები.	2 ქულა
საკითხის შინაარსი გადმოცემულია მხოლოდ რამდენიმე ერთმანეთთან ლოგიკურად დაუკავშირებელი და შინაარსობრივად არასწორი წინადადებით. ნაშრომი არანაირ წარმოდგენას არ იძლევა საკითხის არსის შესახებ. არ არის მოყვანილი პრაქტიკული მაგალითები.	1 ქულა
საკითხი საერთოდ არ არის დაწერილი	0 ქულა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ფინანსები, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

საგამოცდო ბილეთი შედგება 3 საკითხისაგან. თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა, გამოცდის საერთო მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა. მინიმალური ზღვარი 16 ქულა. გამოცდის ხანგრძლივობა - 2 სთ.

თეორიული საკითხის შეფასების კრიტერიუმები:

კრიტერიუმი	**ქულა**
შესრულებული თეორიული საკითხი სრულია. აპლიკანტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის ყოველმხრივ, სისტემურ და უახლოეს მიღწევებზე	10 ქულა

დამყარებულ ღრმა ცოდნას. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა ქრონოლოგიურია.	
შესრულებული თეორიული საკითხი მეტწილად სრულია. აპლიკანტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის რელევანტურ ცოდნას მის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა მეტწილად სრულყოფილია.	9 ქულა
შესრულებული თეორიული საკითხი წარმოდგენილია დამაკმაყოფილებელ დონეზე. აპლიკანტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის რელევანტურ ცოდნას მის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა მეტწილად სრულყოფილია. აპლიკანტი ადექვატურად იყენებს თემის ირგვლივ არსებულ მასალებს.	8 ქულა
შესრულებული თეორიული საკითხი წარმოდგენილია მეტწილად დამაკმაყოფილებელ დონეზე. აპლიკანტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის მეტწილად რელევანტურ ცოდნას, მის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა მეტწილად სრულყოფილია. აპლიკანტი ნაწილობრივ იყენებს თემატურ ლიტერატურაში არსებულ მასალებს.	7 ქულა
შესრულებული თეორიული საკითხი წარმოდგენილია ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელ დონეზე. აპლიკანტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის ნაწილობრივ ცოდნას, მის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა ნაწილობრივ სრულყოფილია. აპლიკანტი არასრულყოფილად იყენებს თემატურ წყაროებში ხელმისაწვდომ მასალებს.	6 ქულა
შესრულებული თეორიული საკითხი წარმოდგენილია არადამაკმაყოფილებელ დონეზე. აპლიკანტი ამჟღავნებს საგამოცდო საკითხის ფრაგმენტულ ცოდნას, მის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა ნაწილობრივ სრულყოფილია. აპლიკანტი არასრულყოფილად იყენებს თემატურ წყაროებში ხელმისაწვდომ მასალებს.	5 ქულა
შესრულებული თეორიული საკითხი არასრულია. აპლიკანტი მიერ წარმოდგენილი მსჯელობა ნაწილობრივ გამართულია. გამოყენებული თემატური წყაროების მხოლოდ ნაწილი.	4 ქულა
შესრულებული თეორიული საკითხში შეინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. აპლიკანტი მიერ წარმოდგენილი მსჯელობა მოიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსს. აპლიკანტი ამჟღავნებს თემის არასრულყოფილ ცოდნას.	3 ქულა
შესრულებული თეორიული საკითხი სუსტია. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა არაქრონოლოგიურია და ხშირ შემთხვევაში არ თემატურ წყაროებში არსებულ შინაარს.	2 ქულა
შესრულებული თეორიული საკითხი არსებითად მცდარია. აპლიკანტი ვერ აყალიბებს მსჯელობის ლოგიკურ განვითარებას და მცირედად იყენებს თემატურ წყაროებში არსებულ მასალებს.	1 ქულა
თეორიული საკითხი არ არის შესრულებული.	0 ქულა

გამოცდა ინგლისურ ენაში:

გამოცდა ინგლისურ ენაში ამოწმებს B2 დონის ფლობას ოთხივე ენობრივი უნარ-ჩვევის მიხედვით (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა).
გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა.
თითოეული კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 25 ქულა.
გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:
პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module). ტარდება გამომცდელთან ერთი–ერთზე ინტერვიუს სახით პირისპირ.
საუბრის კომპეტენცია ფასდება აპლიკანტისთვის B2 დონის შესაბამისი 5 კითხვისა და სადისკუსიო თემის შეთავაზებით. გამოცდის ხანგრძლივობაა 15 წუთი.
მეორე ეტაპი - ტესტი (ტარდება წერითი ფორმით) ამოწმებს კანდიდატის სამ ძირითად ენობრივ უნარს: კითხვა, მოსმენა დაწერა.

კითხვის კომპეტენცია

კითხვის დავალების შემთხვევაში მოცემულია ტექსტი და ტექსტის გასაგებად საჭირო 10 დახურული კითხვა.

მოსმენის კომპეტენცია

მოსმენის კომპონენტი მოიცავს დახურული კითხვების მქონე ორ დავალებას.
პირველი დავალების შემთხვევაში, აპლიკანტი ერთხელ მოისმენს შესაბამის დავალებას.

მეორე დავალების შემთხვევაში, აპლიკანტი ორჯერ მოისმენს შესაბამის დავალებას.

წერის კომპეტენცია

წერის კომპონენტი მოიცავს ესეის დავალებას. აპლიკანტი მოცემული რამდენიმე ვარიანტიდან ირჩევს ერთ ესეის, რომელიც 150-180 სიტყვისგან უნდა შედგებოდეს.
გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ აპლიკანტი დააგროვებს მინიმუმ 50% + 1 ქულას, ანუ 51 ქულას ოთხივე კომპონენტიდან.

ინგლისურ ენაში გამოცდის ხანგრძლივობა: 2 საათი